

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N005/13¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

თამარ ჯვანია

შეკითხვა

ადვოკატი იცავდა სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესებს. კლიენტს ბრალი ედებოდა ცოლის მიმართ ქურდობის ჩადენის ფაქტზე. საქმის დასრულებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, ადვოკატს მიმართა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულმა - ადვოკატის ყოფილი კლიენტის მეუღლემ და სთხოვა წარმომადგენლობა განქორწინების საქმეზე. ადვოკატი უთითებს, რომ ამ ორ საქმეს არ აქვს ერთმანეთთან არანაირი კავშირი. აქვს თუ არა უფლება ადვოკატს განახორციელოს წარმომადგენლობა განქორწინების საქმეზე?

ანალიზი

საადვოკატო საქმიანობის პრინციპებისა და იურიდიული პროფესიის კორპორატიული ინტერესის გათვალისწინებით, ადვოკატს მოეთხოვება ქმედების იმგვარი სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის, მათ შორის ყოფილი კლიენტის ინტერესების პატივისცემას და ყოფილი კლიენტის საქმეზე ან ამ საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების კონფიდენციალობის დაცვას. კონფიდენციალობის პრინციპთან ერთად გასათვალისწინებელია ნდობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის დაცვა, ვინაიდან „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას“ (აპკ-ის მე-3 მუხლი) ხოლო ყოფილი კლიენტის მიმართ არსებულმა ვალდებულებებმა და ურთიერთობამ არ უნდა შეუშალოს ხელი ახალი (პოტენციური) კლიენტის ინტერესების სრულყოფილად განხორციელებას. საქმისწარმოება ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ თავისთავად არ არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევა, თუმცა, ადვოკატმა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა გაითვალისწინოს საადვოკატო საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორცაა ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების უპირატესობა და არ უნდა დააყენოს მათი დაცვა საფრთხის ქვეშ.

დასკვნა

კომისიამ ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ საქმისწარმოება არ მიიჩნია საადვოკატო საქმიანობის პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული სახის საქმიანობით ირღვევა ან საფრთხის ქვეშ დგება საადვოკატო საქმიანობის პრინციპების - ნდობის, კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის განხორციელების შესაძლებლობა როგორც ყოფილი, ისე პოტენციური კლიენტის მიმართ.

¹ <https://gba.ge/pdf/5c91ed3d8b0bd.pdf/13%20May%202013%20005.13.pdf>